დამტკიცებულია
შპს ოქლიფის სკოლის
დირექტორის ბრძანებით

შპს ოქლიფის სკოლის
მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი

თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შპს ოქლიფის სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერ მექანიზმს.
2. აღნიშნული მექანიზმი ვრცელდება სკოლის ყველა მოსწავლეზე.
3. მექანიზმის მიზანია მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური ინიციატივების გამოვლენა, განვითარება და მხარდაჭერა მათი ლიდერული და სოციალური უნარების გამოვლენისა და სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართვისათვის.
4. მოსწავლეთა მხრიდან წარმოდგენილი ინიციატივა შესაძლოა გულისხმობდეს სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით, საგანმანათლებლო თუ სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობას, ასევე არაფორმალურ განათლებას.
5. ნებისმიერ მოსწავლეს აქვს უფლება ღიად ისაუბროს საკუთარი ინიციატივის შესახებ, აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე განსახილველად და მხარდასაჭერად წარადგინოს საკუთარი იდეები.
6. ნებისმიერი მოსწავლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივის მხარდაჭერისა და განხორციელების მიზნით ითანამშრომლოს სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრთან.
7. აღნიშნული მექანიზმის ამოცანაა:

ა) ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თვითგამოხატვისა და პასუხისმგებლობის განვითარებას;

ბ) წაახალისოს მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში;

გ) უზრუნველყოს ინიციატოვების რეალიზაციისათვის საჭირო რესურსებისა და მხარდაჭრის ხელმისაწვდომობა;

დ) ხელი შეუწყოს სოციალური/თანამშრომლობითი უნარების განვითარებას;

ე) განავითაროს ინიციატივების წარდგენის/განხორციელების კულტურა სკოლაში.

მუხლი 2. მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი

1. მოსწავლეს (მოსწავლეთა ჯგუფს) უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და საკუთარი აზრების და იდეების განხორციელების ინიციატივით წერილობით მიმართოს კლასის დამრიგებელს/ადმინისტრაციას.
2. სკოლა მოსწავლის/მოსწავლეთა ჯგუფის ინიციატივას განიხილავს 10 სამუშაო დღეში.
3. მოსწავლეს შეუძლია ჩაერთოს და მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ან/და სხვისი ინიციატივის განხილვის პროცესში.
4. კლასის დამრიგებელი ადმინისტრაციის წევრი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს დირექტორს.
5. კლასის დამრიგებელს/ ადმინისტრაციის წევრს/დირექტორს შეუძლიათ მოსთხოვონ ინიციატივის წარმდგენს განსახორციელებელი აქტივობის აღწერა, აქტივობის განხორციელების ვადების, საჭირო რესურსების, ჩართული პირების შესახებ ინფორმაციის მითითება;

6. ინიციატივის წარდგენიდან გონივრულ ვადაში დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ინიციატივის მხარდაჭერის ან მხარდაჭერაზე უარის თქმის თაობაზე და აცნობებს ინიციატივის წარმდგენს.
7. ინიციატივის შეფასების კრიტერიუმებია: რეალისტურობა, მიზანშეწონილობა და საგანმანათლებლო ღირებულება.
8. შერჩეულ ინიციატივას სკოლა მხარს დაუჭერს რესურსებით (სივრცე, ტექნიკა, მენტორობა, ბიუჯეტი და სხვა)
9. თუ ვერ განხორციელდა ინიციატივის მხარდაჭერა უნდა მოხდეს დასაბუთებული უარის წარდგენა ინიციატივის წარმდგენისათვის.
10. მოსწავლეთა ინიციატივების განხილვა-განხორციელებისას დაუშვებელია რომელიმე მოსწავლის დისკრიმინაცია ან ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება მოსწავლის უფლებების შეზღუდვას.
11. მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის შემდგომ დირექტორის მიერ განისაზღვრება პირი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინიციატივების ორგანიზებასა და განხორციელებაში. აღნიშნული პირი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის წევრი.
12. ინიციატივის მხარდაჭერის შემდგომ მის შესრულებაზე პასუხისმგებელია ინიციატივის წარმდგენი, ჩართული პირები და დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი.
13. განხორციელებული ინიციატივების პრეზენტირება მოხდება სასკოლო ღონისძებაზედა განთვსდება სკოლის ვებგვერდზე

მუხლი 3. დასკვნითი დებულებანი

1. მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმს ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2. მოსწავლის ინიციატივების მექანიზმში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით.